თბილისის მატჩები იუგოსლავიელთა თვალით

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების გაზეთმა "სპორტსკე ნოვოსტიმ" გამოაქვეყნა ლიუბლიანას "ოლიმპიის" ფეხბურთელის ილია გრუბორის კომენტარი ამ გუნდსა და თბილისის "დინამოს" შორის. თბილისის "დინამოს" შორის თბილისში ჩატარებული ორი საერთაშორისო ამხანაგური მატჩის შესახებ. ვფიქრობთ, მისი ზოგიერთი ნაწყვეტი ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება.

პირველი წერილის სათაურია "ორი ბურთი საკუთარ კარში!" გრუბორი წერს, რომ ეს მატჩი "დინამომ", რა თქმა უნდა, დამსახურებულად მოიგო, მაგრამ მას "ოლიმპიაც" აშკარად "დაეხმარა" ორჯერ. "მე ამას იმისთვის არ ვამბობ, რომ თავი ვიმართლო, ან ამხანაგები გავამართლო, მაგრამ მაინც არ ვიმსახურებდით ასეთი ანგარიშით დამარცხებას", – ამბობს იგი.

– ვერც ერთ მოთამაშეზე ვერ ვიტყვი, მთელი ძალით არ იბრძოდა–მეთქი, მაგრამ რას იზამ – ბურთი მრგვალია. მეტოქეზე კი ის უნდა ითქვას, რომ იგი განუწყვეტლივ გვიტევდა, – ასე თქვა პირველი მატჩის შემდეგ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დ. მილოშევიჩმა.

გრუბორი აღნიშნავს, რომ "ოლიმპია" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა, მას აკლდა ორი ძირითადი ფეხბურთელი – რადულოვიჩი და ლალოვიჩი.

აი, რას წერს ეს ფეხბურთელი მეორე მატჩის შესახებ:

"ისევე როგორც პირველმა მატჩმა, მეორე შეხვედრამაც დიდი ინტერესი გამოიწვია... თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე 30 ათასი მაყურებელი მოვიდა. "ოლიმპიას" იუგოსლავიის ჩემპიონატის მატჩებზე არასოდეს ჰყოლია ამდენი მაყურებელი. საქმე ის არის, რომ საქართველოში ფეხბურთი უპირველესი სპორტია. თბილისის "დინამოს", როცა საკავშირო პირველობის მატჩებს თამაშობს თავის ახალ, მშვენიერ 80–ათასიან სტადიონზე, ხშირად დიდძალი მაყურებელი ჰყავს".

შემდეგ გრუბორი გადადის თამაშის მიმოხილვაზე:

"დინამომ" მეორე მატჩშიც მთავარი ძალები გამოიყენა, "ოლიმპია" კი კვლავ დასუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. ლალოვიჩი და რადულოვიჩი ვერ გამოჯანმრთელდნენ, მწვრთნელმა მილოშევიჩმა კი არ მოინდომა რისკის გაწევა და მათი მინდორზე გამოყვანა.

პირველი მატჩისგანა განსხვავებით, ჩვენ ამჯერად მეტი წინააღმდეგობა გავუწიეთ საბჭოთა კავშირის ერთ–ერთ უძლიერეს გუნდს იმის მიუხედავად, რომ თბილისელმა ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს. თამაშის მსვლელობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ანგარიში ნაკლები უნდა ყოფილიყო. ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა ჰქონდათ იოვიჩევიჩს, როჟიჩს, ბრანიჩევიჩსა და კომლიენოვიჩს, მაგრამ ვერ გამოიყენეს ეს მომენტები. გაბელიამ და შემდეგ გოგიამ თითქოს ჰიპნოზი გაუკეთეს ჩვენს მოთამაშეებს, რომლებმაც მაშინაც კი ვერ შეძლეს ბურთის გატანა, როცა კარი ცარიელი იყო! 33–ე წუთამდე თამაში ძირითადად შუა მინდორში მიმდინარეობდა, მერე კი "სცენარზე გამოვიდა" ყიფიანი, რომელმაც შესანიშნავად გადასცა ბურთი გუცაევს, იგი გაუძვრა ჰაცაბენტსა და სამატოვიჩს, შემდეგ კი დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა".

გრუბორი აღნიშნავს, რომ თამაშის მეორე ნახევარი "ოლიმპიამ" აგრესიულად დაიწყო, მაგრამ "დინამოს" დაცვამ საიმედოდ ჩაკეტა თავისი კარის ყველა მისასვლელი. გრუბორის აზრით, სტუმრებს ძირითად საფრთხეს უქმნიდა სწრაფი გუცაევი, რომელსაც მარჯვენა ფრთაზე ზუსტად ამარაგებდნენ ყიფიანი და მ. მაჩაიძე.

მეორე მატჩიც, ისევე როგორც პირველი, "დინამომ" სავსებით დამაჯერებლად მოიგოო,– დაასკვნის ი. გრუბორი.

"ლელო" 3 მარტი 1977 წ.